საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/87 „8" მაისი 2008 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ებ ა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ

1. „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-11 მუხლის შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება განსაზღვრავს საერთო სასამართლოს მოსამართლისათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის დაწესებისა და მოსამართლის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის წესს.

2. საერთო სასამართლოების მოსამართლეებს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დაუწესდეთ თანამდებობრივ სარგოზე დანამატი:

ა) კონკრეტული მოსამართლის დატვირთულობისა და/ან განსახილველ საქმეთა სირთულის გათვალისწინებით;

ბ) კონკრეტული რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს დატვირთულობის გათვალისწინებით;

გ) „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე ორზე მეტ სასამართლოში მივლინების შემთხვევაში;

დ) „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შემთხვევაში;

ე) გაერთიანებული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში;

ვ) მოსამართლის უფლებამოსილების მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით განხორციელების შემთხვევაში;

ზ) სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში.

3. დანამატის ოდენობა განისაზღვრება თვეში არა უმეტეს მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობისა.

4. „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე სხვა სასამართლოში მივლინებულ მოსამართლეს, მისთვის დაწესებული დანამატის ნაცვლად, ეძლევა დანამატი შესაბამისი სასამართლოს მოსამართლისათვის დაწესებული დანამატის ოდენობით, თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სხვა გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

5. ამ გადაწყვეტილების მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების შესახებ გადაწყვეტილებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) ძალაში დატოვოს მოსამართლისათვის დაწესებული მოქმედი დანამატი;

ბ) დაუწესოს მოსამართლეს ახალი დანამატი.

6. გადაწყვეტილებას იმ მოსამართლეთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის ან საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომელთაც სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ადგილას არ აქვთ საცხოვრებელი ბინა, იღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

7. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, მოსამართლეთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების მიზნით, თვითმმართველი ერთეულების მიხედვით ადგენს საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის გამოსაყოფი თანხების ზღვრულ ოდენობას.

8. ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული დანამატის და საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება წლიური საბიუჯეტო კანონით საერთო სასამართლოებისათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

9. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის 1/202-2007 გადაწყვეტილება.

10. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2008 წლის 15 მაისიდან.



გიორგი ხიზანიშვილი

საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი